

საქართველოს კონტროლის პალატა



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ
საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან
დაკავშირებით

2010 წელი

შესავალი

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების იანვარ-ივნისის ანალიზისათვის გამოყენებულია: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2010 წლის 9 აგვისტოს, ინფორმაციის სახით გადმოგზავნილი, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვა“, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშები.

ბიუჯეტის პარამეტრები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც მიღებული იქნა 2009 წლის 4 დეკემბერს, მიმდინარე წლის განმავლობაში ორჯერ განიცადა ცვლილება. კანონში მიმდინარე წლის 18 ივნისსა და 2 ივლისს შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა 6 759 704 000 ლარიდან - 6 991 213,3 ლარამდე ანუ 231,5 მილიონი ლარით გაიზარდა.


აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად შემოსულობების მოცულობის ასეთი ზრდა განპირობებულია მისაღები შემოსავლების, აგრეთვე ვალდებულებების ზრდისა და ფინანსური აქტივების (ნაშთის გამოკლებით) კლების მუხლით მისაღები თანხების მოცულობების, შესაბამისად 224,7 მლნ, 34,8 მლნ და 12,0 მლნ ლარით ზრდით (სულ 271,5 მლნ ლარი) და არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები თანხების მოცულობის 40,0 მლნ ლარით შემცირებით.

ათასი ლარი

	2009 წლის 4 დეკემბრის კანონით	2010 წლის 18 ივნისის კანონით	2010 წლის 2 ივლისის კანონით
შემოსავლები	5188176,7	5412855,3	5412855,3
ვალდებულებების ზრდა	1313527,3	1348358,0	1348358,0
ფინანსური აქტივების კლება	48000,0	60000,0	60000,0
არაფინანსური აქტივების კლება	210000,0	170000,0	170000,0

წლიური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შემოსულობებმა 3198,4 მილიონი ლარი შეადგინა (2009 წლის 2 დეკემბრის კანონით შემოსულობების გეგმა 6 759,7 მილიონი ლარით განისაზღვრა), რაც 978,7 მილიონი ლარით აღემატება 2009 წლის 6 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს და 445,0 მილიონი ლარით ნაკლებია 2008 წლის 6 თვეში მობილიზებულ მოცულობაზე.



შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ბიუჯეტის პროგნოზი


2010 წლის პირველი ნახევრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2510,9 მილიონი ლარით ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 46.4%.

ფაქტობრივი შესრულება


„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვის“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად, მიმდინარე წლის ექვს თვეში მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა, 2517,3 მილიონი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 46.5 %-ს შეადგენს და 0,3 პროცენტული პუნქტით აღემატება იანვარ-ივნისის საპროგნოზო მაჩვენებელს.

დინამიკა და ანალიზი

გასულ წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ფონზე, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში მიღებული შემოსავლების მოცულობა 2009 წლის შესაბამის პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობის მაჩვენებელთან შედარებით 298,0 მილიონი ლარით გაიზარდა.




თუ 2009 წლის იანვარ-ივნისის პერიოდის მიხედვით შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანი შემოსულობების 86,5%-ს შეადგენდა, მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი 78.7%-ს შეადგენს, რაც ვალდებულებების მოცულობის ზრდით არის გამოწვეული.



იმ გარემოების გათვალისწინებით რომ გასულ 6 თვეში, თვეების მიხედვით მიღებული შემოსავლების საშუალო მოცულობა 419,5 მილიონი ლარია, წლიური გეგმით გათვალისწინებული საპროგნოზო მოცულობის (5412,9 მილიონი ლარი) შესრულებისათვის აუცილებელია დარჩენილ ნახევარ წელიწადში 2895,6 მილიონი ლარის მიღება, ანუ საშუალოთვიურმა დონემ დარჩენილ პერიოდში უნდა შეადგინოს 482,6 მილიონი ლარი, რაც 63,1 მილიონი ლარით მეტია იანვარ-ივნისის მობილიზების საშუალო თვიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული გარემოება საექვოს ხდის წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პარამეტრების შესრულებას და რეალურს ხდის გასულ წლებში არსებული პრაქტიკის განმეორებას, როდესაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პარამეტრების კორექტირება ხდებოდა ფისკალური წლის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამ ექვს კიდევ უფრო აძლიერებს


ის გარემოება, რომ ივლის-აგვისტოში მიღებული შემოსავლების ოდენობამ მხოლოდ 913,3 მილიონი ანუ საშუალოდ 456,6 მილიონი ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა გარკვეულ განსხვავებას თვეების მიხედვით მობილიზებული შემოსავლების მოცულობებს შორის. კერძოდ, შემოსავლების მაქსიმალური მოცულობის მობილიზება აღინიშნა 2010 წლის მარტის თვეში. ამ თვეში მობილიზებული შემოსავლების მოცულობა 547,7 მილიონ ლარი, 30%-ით აღემატება ნახევარი წლის საშუალოთვიურ მაჩვენებელს - 419 მილიონ ლარს. (ანალოგიური პარამეტრი 2009 წელს - 68%-ს შეადგენდა). მარტში შემოსავლების მოცულობის მკვეთრი ზრდა გარკვეულწილად აიხსნება 15 აპრილისათვის წლიური საგადასახადო დეკლარაციების (მოგების და წლიური საშემოსავლო გადასახადების) წარდგენის და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ვადების დადგომით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მონაცემების 2009 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 2010 წლის

პირველ კვარტალში მიღებული შემოსავლების მოცულობა 2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო 2010 წლის მეორე კვარტლის მონაცემის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 26% პროცენტამდე გაიზარდა, რაც შესაძლებელია ადექვატურად იქნეს მიჩნეული მშპ-ს ზრდის დინამიკის ფონზე.




საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 2010 წლის პირველ ნახევარში 2202.8 მილიონი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებელის 100.3% შეადგინა.


2010 წლის პირველი ნახევრისათვის მიღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 48.6%-ს შეადგენს, რაც 0,3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ 2009 წლის პირველი ნახევარში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლების 91,2 %-ს შეადგენდა, მიმდინარე წელს ეს წილი 87.5%-ია. ანუ, 2010 წლის პირველ ნახევარში გაზრდილია გრანტებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტში 2010 წლის იანვარ-ივნისში
მოხილზებული შემოსავლების სტრუქტურა




საგადასახადო შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ თუ წლის ბოლომდე შენარჩუნდა თვეების მიხედვით წლის პირველ ნახევარში მოხილზების დონე, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტაბილურობაზე, წლიური საპროგნოზო პარამეტრების *შეუსრულებლობა გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით მოსალოდნელი არ არის.*


საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილზებული
საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით
(2009-2010 წლების იანვარ-ივნისი)
(მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლებში კვლავ დიდი ხვედრითი წილი (60.6%) უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებიდან (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი) მობილიზებულ თანხებს. აღნიშნული პარამეტრი 2009 წელს 60.8%-ს შეადგენდა, რაც მოწმობს რომ საგადასახადო შემოსავლების მობილიზების საერთო მოცულობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირებაზე. აქედან გამომდინარე სასურველია მთავრობის მიერ გატარებული საგადასახადო რეფორმის ძირითადი აქცენტი საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებაზე იქნას გადატანილი, რაც საფუძველს შეუქმნის საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობაში პირდაპირი გადასახადების, კერძოდ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ხვედრითი წილის ზრდას. ეს კი, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის და მისი ისეთი ცალკეული სექტორების, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, განვითარების პირობებში შეიძლება განხორციელდეს.

⇒ უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირ გადასახადებზე უპირატესი დამოკიდებულების ტენდენციით ხასიათდება განვითარებული ქვეყნების უმეტესობა.





როგორც მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს სანგარიშო პერიოდში 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა საგადასახადო ორგანოების მიერ მოზილიზებული თანხების ხვედრითი წილი როგორც დამატებული ღირებულების გადასახადის, ასევე აქციზის გადასახადის მთლიან მოცულობაში.

აქციზიდან მიღებული შემოსავლების ზრდაზე გარკვეული ზემოქმედება შეიძლება მოეხდინა საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას (*ძალაშია მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან*), რომელიც თამბაქოს და ალკოჰოლური პროდუქციის აქციზური განაკვეთის ზრდას ითვალისწინებს. შესაძლოა, აღნიშნულმა მოლოდინმა გარკვეული გავლენა იქონია როგორც ამ სექტორში დასაქმებულ გადამხდელებზე, მოეხდინათ თავიანთი პროდუქციის რეზერვების რეალიზაცია საგადასახადო ცვლილების ძალაში შესვლამდე, ასევე ამ სახის პროდუქციის მომხმარებლებზე, ფასების სავარაუდო ზრდის გამო.

ამასთან, საგადასახადო შემოსავლების მოზილიზების დონის ობიექტურად შეფასებისათვის საჭიროა მთავრობის მიერ იმის დაზუსტება, თუ რამდენად შეესაბამება მის მიერ პროგნოზირებული

მოცულობა, მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური ზრდის შედეგად გამოწვეულ ცვლილებას, და რამდენად შესაძლებელი იყო ფაქტიური მოცულობის კიდევ უფრო გაზრდა და მაკროეკონომიკურ პარამეტრთან მისი შესაბამისობაში მოყვანა.

➡ შემოსავლების აღრიცხვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში საჯარიმო სანქციების და საურავების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობა.

სახაზინო სამსახურის ფორმა N1-ში: ინფორმაცია მობილიზებული შემოსავლების შესახებ, საჯარიმო სანქციების მუხლში არ შედის ფაქტიურად მობილიზებული თანხები საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ყველა ტიპის ჯარიმიდან.

2010 წლის 6 თვის მონაცემებით აღნიშნულ ფორმაში სახაზინო კოდები 11611 - ჯარიმები და საურავები საგადასახადო სამართალდარღვევების გამო (12,8 მილიონი ლარი) და 11612 - ჯარიმები და საურავები საბაჟო სამართალდარღვევების გამო (3,6 მილიონი ლარი) მოიცავს საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების და საურავების სახეების მხოლოდ ნაწილს.

მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებში საგადასახადო ადმინისტრირების და ბიზნესის აქტივობის როლი გაიმიჯვნისათვის, საჭიროა ცალკე გამოიყოს საგადასახადო შემოსავლებში ნებაყოფლობით (საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებული სანქციების გარეშე) მობილიზებული თანხები.

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხები (163,0 მლნ ლარი) 2010 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული მოცულობის 103.1%-ია და 52,4 მილიონი ლარით აღემატება 2009 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.


ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდიდან მობილიზებული იქნა 4 მილიონი ლარი ანუ 6 თვის პროგნოზთან შედარებით 10,7 % -ით ნაკლები. რაც აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო ადმინისტრირების/მენეჯმენტის ზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს.

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობამ 2010 წლის პირველ ნახევარში 81,5 მილიონი ლარი, ანუ 6 თვის პროგნოზის 99,2% შეადგინა. მობილიზების არსებული დონე წლიურ პროგნოზის მიხედვით გათვალისწინებული მოცულობის (142.1 მილიონი ლარი) 57,4%-ს შეადგენს.

2010 წლის 6 თვეში დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლებიდან, 67.9 მილიონ ლარი, 67,3 მილიონი ლარის მობილიზება მოხდა ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, მაშინ როდესაც, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობა მხოლოდ 673 ათასი ლარია.

⇒ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას კლების ტენდენცია ახასიათებს. ასე მაგალითად, თუ 2008 წლის განმავლობაში ამ სახით მიღებული შემოსავლების ოდენობამ 79,8 მილიონი ლარი შეადგინა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ ანუ 41,6 მილიონ ლარამდე

შემცირდა. მიდინარე წლის 8 თვის მონაცემებით კი იგი -2,8 მლნ ლარს, ანუ წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის მხოლოდ 7%-ს შეადგენს.



აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს სახელმწიფო საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირების ან სახელმწიფოს მართვაში მათი შენარჩუნების მიზანშეწონილობის საკითხის გადახედვის აუცილებლობას.

გრანტები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ისეთ სახეს, როგორიცაა უცხოეთიდან მისაღები ფულადი გრანტები, სახაზინო სამსახურის ოპერატიული მონაცემებიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში ამ სახით სულ 151,5 მლნ ლარია მიღებული, რაც წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული საპროგნოზო პარამეტრის (537,8 მლნ ლარი) მხოლოდ 28.1%-ს შეადგენს.

2009 წლის ამავე პერიოდში გრანტების სახით მიღებული იყო 85,0 მილიონი ლარი.

**არაფინანსური და ფინანსური აქტივების
კლების¹ შედეგად მისაღები შემოსულობების
მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა**

საანგარიშო პერიოდში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებული სახსრების (ნაშთის გამოყენების გარეშე) მოცულობამ 83,5 მლნ ლარი შეადგინა.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობის სახით 2010 წლის პირველი ივლისისათვის მიღებულია 36,3 მლნ ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებული თანხების მოცულობა 48,0 მილიონი ლარით ნაკლებია 2009 წლის 6 თვეში მობილიზებულ თანხებთან შედარებით. ამასთან აღნიშნული მოცულობა 2009 წლის 2 დეკემბრის კანონით დამტკიცებული წლიური გეგმით გათვალისწინებული მოცულობის (210 მილიონი ლარი) მხოლოდ 17,3%-ს, ხოლო 18 ივნისისა და 2 ივლისის კანონებით განსაზღვრული მოცულობის (170 მილიონი ლარი) 21,3%-ს შეადგენს. მდგომარეობა არც 1 სექტემბრის მდგომარეობით გამოსწორებულა, მიმდინარე წლის რვა თვეში არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული 62,0 მილიონი ლარი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (170 მილიონი ლარი) მხოლოდ 36,5 %-ს შეადგენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონტროლის პალატის დამოკიდებულება აისახა 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვის პროცესში.

¹ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები

ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების სახით მობილიზებული თანხების მოცულობამ შეადგინა 47,2 მლნ ლარი, ანუ 6 თვის გეგმა შესრულდა 100,9%-ით.

**ვალდებულებების ზრდის შედეგად მისაღები
შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების
მდგომარეობა**

მთლიანობაში შემოსულობების აღნიშნული სახეებიდან წლის პირველ ნახევარში მიღებული სახსრები (597,6 მილიონი ლარი) თავდაპირველად დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების წლიური პროგნოზის (6759,7მლნ ლარი) 8,8%-ს, ხოლო 2010 წლის ივლისში მიღებული შესწორებული წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული შემოსულობების პროგნოზის (6991,2 მილიონი ლარი) 8,5 %-ს შეადგენდა.

მიმდინარე წლის რვა თვეში კი, ვალდებულებების ზრდამ 832,2 მილიონი ლარი ანუ წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლის 11,9 % შეადგინა.

საშინაო ვალდებულებების ზრდის სახით მიღებული შემოსულობები 2010 წლის 8 თვეში 153,1 მილიონ ლარს, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის სახით მიღებული შემოსულობები 679,0 მილიონ ლარს შეადგენს.


საგარეო ვალდებულებების 77,0%, ანუ 523,0 მილიონი ლარი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტია (შარშან ანალოგიური კრედიტის მოცულობა, წლის განმავლობაში 452,5 მილიონი ლარი იყო), ხოლო 23,0 % - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და უცხო ქვეყნების

მთავრობების მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტები.



დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულება

2010 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 3 070 921,5 ათასი ლარი ანუ 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 94,0 % , ხოლო წლიური გეგმის 43,9 % შეადგინა.


მართალია გადასახდელების საერთო მოცულობა 29,2 მლნ ლარით აღემატება გასული წლის ექვსი თვის ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველ ექვს თვეში იგი, 6 თვის დაზუსტებული საგეგმო მაჩვენებლის 96,6 პროცენტს და შესაბამისად 2009 წლის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმის 44,4 პროცენტს შეადგენდა.



როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამებიდან ჩანს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ხარჯების ხვედრითი წილი გადასახდელების საერთო მოცულობაში. ამავე დროს შესაბამისად 2 და 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლით გადახდილი თანხების წილი.



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვა გადასახდელების მიხედვით მთლიანად გადასახდელების წლიური საგეგმო მაჩვენებლის შესრულების საშუალო დონიდან ჩამორჩენა, ძირითადად გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის² სახით განხორციელებული გადახდების მოცულობის სიმცირით (წლის საგეგმო მაჩვენებლის 29,0%).




ხარჯები

როგორც უკვე აღინიშნა გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 87 % ანუ 2666,0 მლნ ლარი ხარჯებმა შეადგინა, რაც ექვსი თვის დაზუსტებული გეგმის 95% და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 49,3 % შეადგენს. სხვა გადასახდელების სახით გადახდილმა 404,9 მლნ ლარმა კი შესაბამისად 87,7 და 31,1 პროცენტი შეადგინა.


² ქონების შეძენა, ქონების რემონტი ან გაუმჯობესება; ამ მიზნით დაგეგმილ/გაწეულ ხარჯები

საანალიზო პერიოდში, ექვსი თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 140,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად მოდის საქონელი და მომსახურება და გრანტების მუხლებზე, რომელთა მიხედვით გეგმის შეუსრულებლობა საერთო ჯამში 89,0 მლნ ლარია. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს (და რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული კონტროლის პალატის მიერ) საბიუჯეტო დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით



**2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ხარჯები ეკონომიკური
კლასიფიკაციის მიხედვით**



მიმდინარე წლის ევს თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით როგორებიცაა: გრანტები-246,8 მილიონი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა-59,0 მილიონი ლარით, შრომის ანაზღაურება-32,6 მილიონი ლარით და პროცენტი 15,8 მილიონი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია სუბსიდიების მუხლით-71,2 მილიონი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით-40,2 მილიონი ლარით და სხვა ხარჯების მუხლით 4,2 მილიონი ლარით.

დინამიკა და ანალიზი

ხარჯების ცალკეული მუხლების შესრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ 6 თვის მონაცემების მიხედვით წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პარამეტრების მიმართ შესრულების საერთო დონიდან გარკვეული *ჩამორჩენა* შეიმჩნევა ისეთი მუხლების მიხედვით, როგორიცაა: საქონელი და მომსახურება (39,7%), სუბსიდიები (39,5%) და სხვა ხარჯები (37,1 %), ხოლო ისეთი

მუხლების მიხედვით, როგორიცაა: გრანტები (57,3%) და სოციალური უზრუნველყოფა (50,0%) დაფინანსების მოცულობა **მნიშვნელოვნად აღემატება** შესრულების საშუალო მაჩვენებელს.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით **გაზრდილია** ხარჯების ისეთი სახეები, როგორიცაა: შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 7,8 მლნ. ლარით, მივლინებები - 9,7 მლნ. ლარით, ოფისის ხარჯები - 10,2 მლნ. ლარით და სხვა საქონელი და მომსახურება - 17,8 მლნ. ლარით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, **შემცირებულია** ხარჯები ისეთი მუხლების მიხედვით, როგორიცაა: პრემიები - 16,5 მლნ. ლარით, კვების ხარჯები - 14,9 მლნ. ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 19,7 მლნ. ლარით და სხვა.

➡ **მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მოცულობის ზრდას** გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს მაშინ, როდესაც ამ კუთხით არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით „**შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, მათი შრომის ანაზღაურება და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება**“ განისაზღვრა საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა და მათი საშუალო შრომის ანაზღაურების ოდენობა. ეს ფაქტი სავარაუდოდ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად 2010

წლის პირველ რვა თვეში ამ მუხლით გაწეულმა ხარჯმა 29,7 მლნ ლარი შეადგინა.

⇒ სამწუხაროა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ მიმოხილვაში ისევ არ არის მოცემული მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა ფაქტობრივი რიცხოვნობა, რის გამოც ვერ დგინდება წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის ლიმიტის დაცვის მდგომარეობა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების ხარჯების საშუალო ფაქტობრივი მაჩვენებელი და ადმინისტრაციული ხარჯების მართვის მდგომარეობა.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფაქტობრივი შესრულება


ანგარიშის თანახმად წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 6 თვისათვის დაგეგმილი გადასახდელების შესრულებამ 2956,2 მლნ ლარი ანუ დაზუსტებული გეგმის 93,9% შეადგინა.

დინამიკა და ანალიზი

ექვსი თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან შედარებით (91,6%) ჩამორჩენა შეიმჩნევა დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ისეთი სფეროების მიხედვით, როგორიცაა: გარემოს დაცვა (76,1%), ეკონომიკური საქმიანობა (85,0%) და დასვენება, კულტურა და რელიგია (89,4%). დაფინანსების შედარებით

მაღალი დონით გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორიცაა: თავდაცვა (97,0%), ჯანმრთელობის დაცვა (97,1%) და სოციალური დაცვა (98,2%).

არათანაბარი დაფინანსების მაგალითები უფრო მკაფიო ხდება წლიური გეგმური მაჩვენებლებისა და საანალიზო პერიოდში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეული დანახარჯების ფაქტობრივი მოცულობების შედარებით. კერძოდ, წლიური ბიუჯეტის შესრულების საშუალო დონიდან (45,2%) *მნიშვნელოვანი ჩამორჩენა* გამოვლინდა: ეკონომიკური საქმიანობის (26,3%), თავდაცვის (35,8) და გარემოს დაცვისა (38,3%) სფეროების მიხედვით. დასვენების, კულტურის და რელიგიის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროებში განხორციელებულმა დაფინანსების მოცულობამ კი, წლიურ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, შესაბამისად 64,3, 51,7 და 51,3 პროცენტი შეადგინა.



ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მდგომარეობა ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით

ცალკეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით ადგილი აქვს ექვსი თვის დაზუსტებული გეგმის შესრულების საშუალო დონესთან (89,2%) შედარებით მნიშვნელოვან განსხვავებას. კერძოდ, როგორც ანალიზით დგინდება 47 მხარჯავი დაწესებულებიდან 8 დაწესებულების მიხედვით ადგილი აქვს შესრულების საშუალო მაჩვენებლიდან 10 და მეტი საპროცენტო პუნქტით გადახრებს.

➡ კიდევ უფრო დიდია გადახრები წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრულ პარამეტრებთან შედარებით, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების გაწეული ფაქტობრივი გადასახდელების მოცულობა, წლიური ასიგნებასთან მიმართებაში მერყეობს 25,7%-დან (სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) - 1104,6%-მდე (საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი).

ასევე აღსანიშნავია, რომ 2010 წლის იანვარ-ივნისში მხარჯავი დაწესებულებების დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების როგორც კვარტალურ განწერებში, ასევე ასიგნებების მუხლობრივ გადანაწილებებში შეტანილია 114-ზე მეტი ცვლილება.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით წლიური ბიუჯეტის დაგეგმვაში ან/და წლიური ბიუჯეტის კვარტალური განწერის შედგენაში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები და შესაბამისად ეს საკითხი მოითხოვს შემდგომ სრულყოფას.

სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის

კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა განისაზღვრა 25,0 მლნ ლარი თითოეული, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის კი 80,0 მლნ ლარით.

მიმდინარე წლის 18 ივნისს და 2 ივლისს საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა 55,0-55,0 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა კი 194,0 მლნ ლარით განისაზღვრა (გაიზარდა 2,4 -ჯერ).

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

ანგარიშის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 25 928,0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა (საკასო) ხარჯმა 24 050,3 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით ფონდიდან გამოყოფილი თანხების 44,9% ანუ 11 651,9 ათასი ლარი განკუთვნილია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 32,2 მლნ ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 26,8 მლნ ლარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 18 ივნისამდე ანუ ფონდის მოცულობის გაზრდამდე, საქართველოს მთავრობის და

საქართველოს პრენიერ-მინისტრის ბრძანებებით, ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 29,6 მლნ (კანონით განსაზღვრულზე 4,6 მლნ ლარით მეტი), ხოლო საკასო ხარჯმა 26,4 მლნ ლარი (კანონით განსაზღვრულზე 1,4 მლნ ლარით მეტი) შეადგინა.

➡ *სახაზინო სამსახურიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესაბამისად 2010 წლის რვა თვეში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა უკვე 47,2 მილიონ ლარს შეადგენს.*

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს მთავრობის 18 სხვადასხვა განკარგულების შესაბამისად ფონდიდან გამოყოფილმა ასიგნებების მოცულობამ 96,1 მლნ, საკასო ხარჯმა კი 85,7 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებული მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა, ანგარიშში მოყვანილს 20,8 მლნ ლარით აღემატება.

ანგარიშის თანახმად, 2010 წლის 18 ივნისამდე გამოცემული დადგენილებების შესაბამისად ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 92,3 მლნ ლარია, რაც კანონით განსაზღვრულზე 1,3 მლნ ლარით მეტია.

➡ თითქმის ამოწურულია აღნიშნული ფონდის წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობა (194,0 მილიონი ლარი) ვინაიდან, მიმდინარე წლის 1 სექტემბრის

მდგომარეობით ამ ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების
მოცულობამ 172,8 მილიონი ლარი შეადგინა.

⇒ კვლავ დღის წესრიგშია სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახის
ფონდების შექმნისა და მათი გამოყენების წესის საკანონმდებლო
დონეზე მოწესრიგების საკითხი, აღნიშნულ საკითხთან (იხ.:
საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება „საქართველოს 2009
წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ
საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით“, აგრეთვე
საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება „საქართველოს 2009
წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს
მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით“) დაკავშირებით
საქართველოს კონტროლის პალატის პოზიცია ცნობილია და აღარ
განგმეორდება.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის
ფინანსური დახმარების მდგომარეობა

ბიუჯეტის პარამეტრი

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის შესაბამისად წლიურ
ბიუჯეტში ავტონომიურ რესპუბლიკებზე და თვითმმართველ
ერთეულებზე **ფინანსური დახმარების (ტრანსფერი)** სახით გადასაცემი
სახსრების წლიური მოცულობა განისაზღვრა 836,9 მლნ ლარით, რაც
36,1%-ით აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (614,9 მლნ.
ლარი). (მიმდინარე წლის 18 ივნისის და 2 ივლისის ცვლილებებით
ტრანსფერების მოცულობა არ შეცვლილა)

ფაქტობრივი შესრულება

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით გადასახდელი ასიგნებების დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ 980.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 144,0 მლნ ლარით აღემატება წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრულ პარამეტრს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. ავტონომიურ რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისთვის გასაწევი ფინანსური დახმარება არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯს, რომ ამგვარ რეჟიმში ითხოვდეს ცვლილებებს.

დაზუსტებული წლიური გეგმა 15,7%-ით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს (847,2 მლნ ლარი), ხოლო ექვსი თვის შესრულება (614,1 მლნ. ლარი) წლიური გეგმის 62,6%-ს შეადგენს და მთლიანი წლიური ასიგნებების გეგმის საერთო მოცულობის 6 თვის შესრულების მაჩვენებელზე (44,4%), 8,7%-ით მეტია.

აღსანიშნავია, რომ არც მთავრობის მიერ წარმოდგენილ ექვსი და თვის მიმოხილვასა და არც სახაზინო სამსახურის ოპერატიულ ინფორმაციაში თვითმმართველი ერთეულებისთვის განკუთვნილი ფინანსური დახმარების 6 თვის გეგმა არ არის მოცემული, რაც არა მხოლოდ შეუძლებელს ხდის საანგარიშო პერიოდის გეგმასთან შესრულების შედარებას. გათანაბრებითი ტრანსფერის შესრულება 143,1%-ით, სპეციალურის კი 43,9%-ით აღემატება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის შესრულება ამ უკანასკნელს 17,7%-ით ჩამორჩება.

დინამიკა და ანალიზი


ფინანსური დახმარების შესრულების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამწვეულია სპეციალური ტრანსფერის შესრულების მაღალი

მაჩვენებელით, რაც მიზნობრივი და გათანაბრებითი ტრანსფერის შესრულების მაღალ მაჩვენებლთან ერთად არარაციონალურ დაგეგმვაზე მიანიშნებს.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოყოფილი სახსრების ოდენობა (96,1 მლნ ლარი) კვლავ მიანიშნებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის ეტაპზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზებზე. როგორც ანგარიშში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადაცემული ტრანსფერები ხსენებული ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების 80,2%-ს შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ქვედა დონის ბიუჯეტებზე გადაცემულმა სახსრებმა 6,1 მლნ ლარი შეადგინა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან, საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გაწეული არაერთი სხვა ხარჯი თავისი შინაარსით წარმოადგენს მიზნობრივ და სპეციალურ ტრანსფერს და არ აისახება ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური დახმარებაში. (მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის საჭირო ხარჯები - ქ.ბათუმში ზღვისპირა პარკის ცენტრალურ შესასვლელში საგამოფენო დარბაზის მშენებლობა).


➤ 2010 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ავტონომიურ რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა **ტრანსფერებმა** 763,8 მილიონი ლარი ანუ წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 91,3 % შეადგინა.



საქართველოს სახელმწიფო ვალის ფორმირება და მართვა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2010 წლის ბოლოსათვის განისაზღვრა არა უმეტეს 8809,1 მლნ ლარისა. კანონში განხორციელებული 2 ცვლილების შედეგად იგი 7,5%-ით ანუ 9469,1 მლნ ლარამდე გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვის შესაბამისად 2010 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთის ფაქტიური მოცულობა 6389,8 მლნ ლარს (წლიური ზღვრული მოცულობის 83,8%), ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა კი 1768,3 მლნ ლარს (წლიური ზღვრული მოცულობის 95,7%) შეადგენს. საშინაო ვალის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია 600 846,0 ათასი ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 125 000,0 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები - 367864,2 ათასი ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები 674581,0 ათასი ლარი.



სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მისი დაბალანსების მდგომარეობა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის განსაზღვრული **სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების გეგმური მაჩვენებლები განსხვავდება წლიური ბიუჯეტის კანონით დადგენილი მაჩვენებლებისაგან**, კერძოდ მთავრობის ანგარიშის მიხედვით ექვსი თვის დაზუსტებული გეგმის მიხედვით საოპერაციო სალდო განისაზღვრა - 295,0 მილიონი ლარის ოდენობით, რაც 6,8 მილიონი ლარით აღემატება წლიური ბიუჯეტის კანონით დადგენილ პარამეტრს.

მთლიანი სალდოს დაზუსტებული გეგმური მოცულობა კი განისაზღვრა (-602,5) მლნ ლარით, რომელიც უნდა დაბალანსებულიყო (-35,4) მლნ ლარის მოცულობით ფინანსური აქტივების წმინდა ცვლილებით და 567,1 მლნ ლარის მოცულობით ვალდებულებების ცვლილებით.

რაც შეეხება ბიუჯეტის სალდოსა და მისი დაბალანსების ფაქტობრივ მდგომარეობას, როგორც ანგარიშიდან, ჩანს 2010 წლის პირველი ივლისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -148,7 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-402,6) მლნ ლარი, რაც ფინანსური აქტივების წმინდა ცვლილებით (-131,1) მლნ ლარი და ვალდებულებების წმინდა ცვლილებით 533,7 მლნ ლარი დაბალანსდა.


საჯარო სამართლის იურიდიული პირები

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის N 68 დადგენილებით „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 3, 6, 9 თვის და წლიური შესრულების

ანგარიში უნდა წარუდგინოს 112-მა სსიპ-მა. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის მიმოხილვის მე-8 თავში წარმოდგენილია მხოლოდ 110 საჯარო სამართლის იურიდიული პირის (აკლია “მწერალთა სახლი”-სა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ანგარიშები) ბიუჯეტების შესრულების 6 თვის ფინანსური ანგარიშები და ნაერთი ბალანსი.

➡ უნდა აღინიშნოს, რომ არც მთავრობის დადგენილება და არც მიმოხილვა არ იძლევა წარმოდგენას, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული ეს 112 საჯარო სამართლის იურიდიული პირი და რატომ არ არის აქვე მოცემული სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საბალანსო მონაცემები.

წარმოდგენილი ანგარიშებისა და ნაერთი ბალანსის შესაბამისად აღნიშნული 110 სსიპ-ს მართვაში არსებული ფინანსებიდან - 62% ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას, 36% - კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებს ანუ გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულ სახსრებს, ხოლო 2% - მიღებულ გრანტებს წარმოადგენს - ანუ განსხვავებულად იმართება დიდი ოდენობის საჯარო ფინანსები.



აღსანიშნავია, რომ მიმოხილვაში წარმოდგენილი 110 იურიდიული პირიდან - 7 სსიპ-ს შემოსავლის ერთადერთ წყაროს გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ შემოსავალმა 44,2 მლნ ლარი შეადგინა.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობის მდგომარეობა

იმის გათვალისწინებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულების კონტროლს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოები ახორციელებენ და ავტონომიურ რესპუბლიკებში საქართველოს კონტროლის პალატებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისათვის წარდგენილი აქვთ მოხსენებები ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების მიერ წარდგენილი ანგარიშების თაობაზე, აქ მოცემულია მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის 6 თვის საგადასახადო შემოსულობების დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა სულ 5 997,3 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 897,2 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98,33 %-ი.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონით რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებანი განისაზღვრა 11541,0 ათასი ლარით. აქედან საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ასიგნებები 5783,1 ათასი ლარი წლიური ბიუჯეტის 50,1%-ია საკასო შესრულებმ კი, გეგმიური მაჩვენებლის 94,3%-ი შეადგინა (5453,6 ათასი ლარი). საკასო ხარჯები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 573,2 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის ხარჯების გეგმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 840,1 ათასი ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის დაზუსტებული გეგმა 41 973,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულებამ 41994,5 ათასი ლარი ანუ გეგმის 100,1% შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11219,4 ათასი ლარით ნაკლებია.

საანგარიშო პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა კი, 95,8%-ით შესრულდა. გეგმის შესრულებას დააკლდა 1 777,1 ათასი ლარი.

საქართველოს “საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად (რომელშიც მნიშვნელოვანი რესურსი გაიხარჯა და რეალურად წარმოადგენდა მანამდე არსებული კანონმდებლობის კომპილაციის მცდელობას), რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან და რომელშიც წლის

დასაწყისიდან 4 ცვლილება ცვლილება შევიდა, საქართველოს მთავრობას აღარ გააჩნია ვალდებულება საქართველოს პარლამენტში წარადგინოს ანგარიში მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ: პარლამენტში წარმოგენილია მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა, რომელიც მხოლოდ მომავალი წლის ბიუჯეტის თანდართულ მასალაა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატის წინამდებარე მოხსენებაში ასახულია ჩვენ მოსაზრებები „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ყოველგვარი კონკრეტული ფაქტებისა თუ მხარჯავი დაწესებულებების მონაცემების განხილვის გარეშე.

ინფორმაცია
2010 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოხილზებული შემოსულობების შესახებ

	გეგმა*	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	ათასი ლარი 8 თვე	%-წლის გეგმასთან
შემოსავლები	5412855,3	349782,0	318671,1	547719,4	447503,1	422184,5	431452,3	422151,9	491050,2	3430514,5	63,4
გადასახადები	4532000,0	280573,0	290794,0	505065,5	348701,4	391638,8	386056,8	399087,0	362433,8	2964350,3	65,4
გრანტები	537846,3	57508,2	11557,3	22357,1	15005,2	17584,7	27437,5	2940,8	96420,4	250811,2	46,6
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	343009,0	11700,8	16319,8	20296,7	83796,4	12961,2	17957,9	20124,1	32196,0	215352,9	62,8
<i>სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები</i>	40000,0	11,2	26,8	3,2	628,4	1,3	2,3	8,2	2124,4	2805,8	7,0
შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან	170000,0	11794,7	1199,4	8726,7	2985,7	3541,6	8023,1	12288,2	13441,7	62001,1	36,5
შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან	60000,0	15905,7	1469,1	16173,0	3815,0	6820,0	3033,2	3451,8	159,3	50827,1	84,7
შემოსულობა ფინანსური ვალდებულებებიდან	1348358,0	43168,2	168817,3	279110,6	31516,1	40703,0	34322,9	185426,8	49124,6	832189,5	61,7

*-ბიუჯეტის კანონით

ინფორმაცია
2010 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესახებ

	წლის გეგმა*	ათასი ლარი									% - წლის გეგმასთან
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	8 თვე	
ხარჯები	5690193,3	298641,0	411381,6	511450,7	509914,4	484103,9	450497,8	477023,6	398326,7	3541339,7	62,2
შრომის ანაზღაურება	1043117,9	74847,4	75817,3	82361,9	82079,4	79431,1	96507,6	80726,3	77589,0	649360,0	62,3
საქონელი და მომსახურება	882553,3	27390,9	50856,9	60513,5	76628,9	72879,3	61891,9	92754,9	58738,7	501655,0	56,8
პროცენტი	228193,0	6270,4	12654,8	13118,2	40123,1	6876,6	16781,6	10614,8	15053,3	121492,8	53,2
სუბსიდიები	233378,9	10844,5	14445,6	16103,5	14392,0	19060,0	17257,7	18810,8	16071,1	126985,2	54,4
გრანტები	1084783,9	30729,9	83455,1	163268,6	121481,2	135495,9	87136,5	72144,6	80248,1	773959,9	71,3
სოციალური უზრუნველყოფა	1494713,8	112990,9	128568,9	127326,8	129345,8	129899,5	118928,0	132409,8	124660,3	1004130,0	67,2
სხვა ხარჯები	723452,5	35567,0	45583,0	48758,1	45864,0	40461,5	51994,6	69562,5	25966,3	363757,0	50,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	990197,0	17888,4	29951,5	39146,1	59864,2	60665,4	82709,4	83780,3	112375,8	486381,1	49,1
ფინანსური აქტივების ზრდა	112306,6	8562,4	6667,5	12533,8	2120,7	5116,2	15798,4	5561,2	4556,0	60916,2	54,2
ვალდებულებების კლება	198516,4	6935,5	7035,4	15971,3	1924,3	8508,4	23533,2	57499,7	6505,4	127913,2	64,4

*-ბიუჯეტის კანონით

ინფორმაცია
2010 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების და მოზილიზებული
შემოსულობების შესახებ

	მლნ ლარი									
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სულ 8 თვეში	%-წლის გეგმასთან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	420,7	490,2	851,7	485,8	473,2	476,8	623,3	553,8	4375,5	62,6
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ფაქტიური ხარჯი)	332,0	455,0	579,1	573,8	558,4	572,5	623,9	521,8	4216,5	60,3